**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი"**

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102


## ქართული თეატრი

გაიმართა ხელის - მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის **ერნესტო როსსის** და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჭმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლიუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმ-დგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკა,**
ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—10)


„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

სრული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.


## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ საეკკლესიო მუზეუმის თავმჯდომარედ, რომლის თანამდებობასაც განსვენებული დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე ასრულებდა, მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალადის არხიმანდრიტი ნიკოლოოზი დაუნიშნავს.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ მიიღო მესამე ნაწილი დავიდ ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულის ლექსიკონისა, ქართული გრამატიკა მისივე და რუსულ-ქართული ლექსიკონი. მესამე ნაწილი ქართულ-რუსულის ლექსიკონისა ღირს ორი მანათი.

*** გუშინ, ამ თთვის 26, კავკასიიდგან დეპეშა მოვიდა, რომ მის უდიდებულესობის ნასრ-ედდინ შაჰის პირველი მეუღლე ემინ აგდასი გუშინ მოვიდა კავკავშიაო და დღეს უკვე გამოემგზავრა ტფილისისაკენაო. მის უდიდებულესობას ამალას გარდა ტფილისამდე აცილებს სპარსეთის ელჩი მირზა რიზა-ხანი. ამალამ მას უდიდებულესობა მლეთში ჩამოხტება.

*** დღეს, ამ თთვის 27, საიმპერატორო რუსეთის სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების სასწავლებელში შუადღის 12 საათზე დანიშნულია ეგზამენი იმ მოსწავლე ვაჟთა და ქალთა, რომელნიც წელს ათავებენ სწავლას.

*** ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეებს სწავლა უთავდებათ ხვალ, ამ თთვის 28, და მეორე გაკვეთილის შემდეგ დათხოვნილ იქმნებიან. ხოლო ეგზამენები მერვე კლასის შეგირდებისა გათავდება თიბათვეს 12.

*** გუშინ, ამ თთვის 26 დათხოვნილ იქმნენ საზაფხულოდ მოწაფენი ტფილისის მის უმაღლესობის ოლგა ფეოდორეს ასულის დედათა გიმნაზიისა.

*** ჩვენ გვიამბეს, რომ ერთს აქაურს ტელეგრაფისტად ნამყოფს მოუგონია ისეთი შეზავებული წამალი, რომ შიგ გავლებული ტილოს არ ჰქონავს თურმე ნავთი. ამ ტელეგრაფისტს შეუკერია ტილოს პარკები და ტომრები, გაუვლია იმ წამალში, ჩაუსხამს შიგ ნავთი და შეუნახია რამდენიმე კვირა ი. ე, რომ ერთი წვეთიც არ დაჰკლებია. ნავთის მოვაჭრეთ ყურადღება არ მიუქცევიათ იმის მიერ მოგონილ წამლისათვის. ტელეგრაფისტი გარდაცვლილა და თავისს მეუღლესთვის საიდუმლოდ უსწავლებია ამ წამლის გაკეთება. ახლა ტელეგრაფისტის ქვრივი დეპეშით დაუბარებია ტფილისიდგან ბათუმს საზღვარ გარეთის ნავთით მოვაჭრე ფირმის წარმომადგენელს, რომელსაც ჰსურს ისწავლოს ამ წამლის გაკეთება და ქვრივს სამაგიეროდ რამდენსამე ას თუმანს ჰპირდება. ქვრივი ამ დღეებში გაემგზავრა ბათუმს.

*** ხმა გავრცელდა ამას წინად, რომ უნდა გაუქმდეს ტფილისში თანამდებობა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანამდებობისაო. ახლა, როგორც ამბობენ, ამ თანამდებობის გაუქმება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია და სამს წელიწადს შემდეგ-კი შესაძლოა მოხერხდეს, რომ ეს თანამდებობა აღარ იყოს საჭიროო.

*** ოთხშაბათს, 25 მაისს, ამიერ-კავკასიის ქალების ინსტიტუტში წლიური აქტი იყო, რომელზედაც დაესწრო მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი. წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, რომ წარსულს წელში ინსტიტუტში ყოფილა სულ 192 მოსწავლე ქალი და კურსი შეუსრულებია 22 ს, მათ შორის: ნინა იმნაძის ასული დაჯილდოებულ იქმნა შიფრით, ნინა საგინოვისა, სოფია ხიმშიაშვილისა, მარია ყორღანოვისა, ვერა სტეფანოვისა და ოლგა ჩიგიანისა დაჯილდოებულ იქმნენ სხვა-და სხვა ფა-

## ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციელისა

(გურია)

აპრილი

მართალია, ბატონებო, ეს „ყოველ თთვიური" დამიგვიანდა, მაგრამ გთხოვთ არ შეხვიდეთ შეცდომაში, არ წაიწყმიდოთ სული და არ იფიქროთ, რომ ამაში მე ვიყო დანაშაული. არა, ეფიცავ გამჩენს, სულით და გულით მინდოდა, რომ ვალი ყოველთვის თავ-თავის დროზე მომეცა. აქამდის, როგორც იყო კიდევაც ვიარე ამ გზით, მაგრამ ამ ბოლო დროს მეწია უბედურება და ერთ-ერთმა (რომელი იყო, ღმერთმა არ ვუწყი) იმ სენ-მოარულმა, რომელთ შესახებ წინა წერილებში გწერდით, მტაცა ხელი და უნდა გამოვტყდე, მომერია კიდეც, წამაქცია და კაი ხანს მალესინა ლოგინი. მალესინა ლოგინი და თან ნიში მიგო, „ყბაი მიქცია" იმ წყეულ-შეჩვენებულმა. შენ ისეთ ისეთო, მეუბნებოდა, წელს რომ საქმე გამოგელია, ჩვენს მეტი რო ვერც სალაპარაკოდ, ვერც საწერად ვერაფერი იშოვე, ჩვენ საყვედურ-სამდურავს გარდა ვერაფერი გაიკელიე,—როგორ გგონა, რას ფიქრობდი? ხომ იცოდი, რომ ჩვენის ბრჭყალებისაგან დაზღვეული არ ყოფილხარო! რაღა მეთქმოდა და კიდევაც რომ მქონოდა სათქმელი და პასუხ-საგები, ვის შეეძლო ლაპარაკი და ენის მიძვრა-მოძვრა! ნერწყვ გამშრალი, არაქათ-გამოლეული, სახეზე და მთელს ტანზე ცეცხლ-მოკიდებული ვეგდე ლოგინში „გაბურსალებული" და გაბურანებული. დალაგებულ ლაპარაკს, როგორც მოგახსენეთ, ვერ ვახერხებდი, მაგრამ სამაგიეროდ „ბოდვას", უთავ-ბოლო სიტყვების სროლას ჩემ მიერ საზღვარი აღარ ჰქონდა თურმე. ხან ამ მთისას ვიტყოდი, ხან იმ მთისას და ისეთებს-კი ვამბობდი, რომ სიზმრადაც არავის სჩვენებოდეს. ერთის სიტყვით, სინამდვილეს მოკლებულ ცნობებს იმდენს თურმე ვარახუნებდი, რომ, როგორც ეხლა ვფიქრობ, მიბრალა ღმერთმა და იმავე მდგომარეობაში არ დავრჩი, თორემ არაფრად არ ვივარგებდი, არაფერში არ გამოვდგებოდი, თუ „Гражданинъ"-ის თანამშრომლობას ვერ ვიშოვიდი. ხოლო რაც შეეხება ჩემს მტარვალს და მის მიერ ნიშის გებას, ყურიც არ ვათხოვე. ის ითხოვდა ჩემგან ბოდიშის მოთხოვას, ეს-კი მე ჩემი თავ-მოყვარეობის შელახვად მიმაჩნდა. ისევ გმირულად ვაჩვენე თავი, ამაყად დავუხვდი. თუმცა წაქცეული ვიყავი და ჩემი მოჯიბრე დიდის სიმძიმით მაწვებოდა, დიდის ხერხით და ოსტატობით გაჰქონდა ძალ-ღონე ჩემის აგებულებიდამ და სიცოცხლეს მედავებოდა, მაგრამ ესტიბარი არ გავიტეხე, არ დავკარგე იმედი, არ წარვიკვეთე სასოება და დამარცხებულად არ მივიჩნიე თავი. გავგზავნე კაცი ფერშალთან და განძრახვა მქონდა, თუ ფერშალს ვერ გაებედა ბრძოლა ამ ჩემს დაუპატიჟებელს სტუმართან, მაშინ თუ როგორმე მოვახერხებდი და შევიძლებდი, ექიმს მოვიშველიებდი. მადლობა ღმერთს, ფერშლის ძალ-ღონე და ტყვია-წამალი სრულიად საკმარი და აღმოჩნდა, რომ ჩემი მტარვალი დაე ფრთხო და „შეეფუცხუნებინა" და თუმცა ჯერ სულ ვერ მომაშორა, მაგრამ იმედს მაძლევს, ადრე ავაკვრევინებ გუდა-ნაბადს და გავამგზავრებ შენის აგებულებიდამ მაგ ახირებულს სტუმარს, რომელიც სისხლ-ხორცისა და ძალ-ღონის გარდა სამასპინძლოდ არაფერს ყაბულობსო.

ასე და ამ გვარად, ვგონებ, გადაურჩი უხილავისა, მაგრამ ძლიერის მტრის იერიშს. და ახლა-კი შევუდგეთ ჩვენს ყოველ თვიურს მიმოხილვას.

**

აპრილი გაზაფხულის მეფობის მეორე თთვეა და დიდად მშვენიერი, დიდად კეკლუცი და დიდად ნაზი და მხიარულია,—მით უმეტეს მაშინ, როცა ამ თთვეში ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულობაც შეხვდება. წლის ხომ ასე იყო, მაგრამ რადგანაც ქვესატს ხალხში არც გაზაფხულის სინაზსიკეკლუცეს აქვს მნიშვნელობა და არც აღდგომის დღესასწაულებს შეუძლია შეირჩინოს თავისი ჩვეულებრივი ფერი და იერი, ამიტომ ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ. ამბავი სხვაც ბევრი გვაქვს.

აპრილი იმითიც არის შესანიშნავი, რომ ამ თთვეში იკრიბება და იგზავნება, სადაც ჯერ არს, სახელმწიფო გარდასახადი. წარსულ წლებში, როცა ხალხი, ცოტა არ იყოს, წელში გამართული იყო და ჯიბეში ცოტა რამ-კი „ეფენჩხებოდა", რასაკვირველია, გარდასახადის შეკრებაც არ ძნელდებოდა, წელს-კი სხვა რიგად დატრიალდა ჩარხი: ცალკე სიკვდილის გახშირებამ გაგვანადგურა და ცალკე სიმინდის ფასის დაწევამ გაგვტეხა წელში ასე, რომ „ფრჩხილი არ აქვს მოსაფხანადო", რო იტყვიან, სწორედ ჩვენზე ითქმის. აუწერელი და აუტანელი გაჭირვება გვადგია. მაგრამ არ იფიქროთ-კი, რომ ჩვენის ასეთის გაჭირებისათვის ვინმეს ყურადღება მიექციოს. გამიგონია, როცა ასეთი გაჭირვება ეწვევა ხალხს, ხალხის მზრუნველ-პატრონნი იშუამდგომლებენ, ვის წინაშეც ჯერ არს, რომ ხალხს ალალონ „სულის მოთქმა", შეაძლებინონ [illegible] გარდასახადის შოვნა-მოპოვება. ჩვენში-კი ეს არ მოხდა. არ ვიცი ვერ დაინახეს, თუ არ დაინახეს ხალხის უუკიდურესი და უმწვერვალესი მდგომარეობა. წარსულ წელთა მაგალითისამებრ მოინდომეს გარდასახადის შეკრება. გარდასახადისა რა მოგახსენოთ და ნოხ-ფარდაგები, სპილენძეულება, მწველელი ძროხები და უღლის ხარები ბევრი შეჰკრიბეს კანცელარიების კარმიდამოში და დაიძახეს, „ტორგი" ვის გინდათ მეოთხედ, მეხუთედ ფასად... არა, ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა და მწველელ ძროხისა და უღლის ხარის გარდასახადში წართმევა ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ხშირად ერთი მწველელი ძროხა ჰკვებავს მთელს ოჯახს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ-კი არ ჰკვებავს, „სულს აპურებიებს", როგორც იტყვიან ჩვენში. და განა ცოდვა და ცეცხლი არ არის, რომ მთელს ოჯახს ეს „სულის დაპურებაც" მოვაკლოთ? თუ არ მეტი, იგივე ითქმის უღლის ხარზედაც. ახლა ხვნა-თესვის დროა და მაშასადამე ხარი თუ როდესმეა საჭირო, ეხლაა მოსახნავ-მოსაფარცხავად, და რაღა იქნება იმაზე უარესი, რომ ახლა მხნელ-მთესველ კაცს ხარი წავართვათ და გულზე ხელი დავაკრებინოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის წიგნით. ამათ გარდა სწავლა შეასრულეს კიდევ: ელისაბედ მაჭუტაძის ასულმა, მარიამ სარაჯაშვილისაი, ნინა ჩიგიანისამ, კნ. ვერა ვაჩნაძისამ, მარიამ ფალავანდიშვილისამ, კნ. ეკატერინა ციციანოვისამ და მარიამ ჯავროვის ასულმა. მეორე მოსწავლედ ნინა იმნაძის ასულს გაუთავებია კურსი. წლის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა 93,585 მან. 46 კაპ. და გასავალი 92,072 მან. 60 კაპ.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს უთქვამს თავ. გ. ი. თარხანოვის ბანკის დირექტორად ამორჩევის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურის კაცს ნება არა აქვს კერძო სამსახურშიაც იყოსო.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი აცხადებს გაზ. „ახალ მიმოხილვაში“, რომ 1890 წლის 1 სექტემბრიდგან სკოლისათვის ახალის შენობის დაქირავება გვსურსო. შენობაში უნდა იყოს 23 ოთახი, დასაძინებელი ოთახი სივრცით 3068 კუბ. არშინი, სამზარეულო, მოსამსახურეების ოთახი და სარაია. აგრეთვე ეზოც უნდა ჰქონდესო. ვისაც ამისთანა შენობა აქვს გასაქირავებელი, შეუძლიან მიჰმართოს ამ სკოლის ინსპექტორს, ნიკოლოზის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლში. ჩვენ ვერ გაგვიგია, რატომ ჩვენს რედაქციაშიაც არ ინება გამგე კომიტეტმა ამ განცხადების გამოგზავნა.

*** სამეურნეო ჟურნალის № 3—5-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია სამეურნეო საზოგადოების წარსულის წლის ანგარიში, რომელშიაც მოქცეულია აგრეთვე ანგარიში შარშანდელის სამეურნეო გამოფენისა. საანგარიშო წელს საზოგადოება შესდგებოდა 186 წევრისაგან, საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 19,999 მან. 68 კაპ., გასავალი 10,044 მ. და 47 კაპ. გამოფენის ხელ-მძღვანელმა დასმა თვისი მოქმედება დაიწყო 1889 წ. თებერვლიდამ. დასი შეუდგა გამოფენის შენობის აგებას, ბალჩა-ეზოს მოწყობას. მაგრამ თებერვალსა, მარტსა და აპრილის ნახევრამდის დიდი წვიმები იყო, რომელმაც ბევრად ხელი შეუშალა ხსენებულს დასს, ასე რომ აპრილის ნახევრამდის თითქმის ვერაფერი გაკეთდა. შემდეგ საქმე დააჩქარეს, რადგან გამოფენის გამართვამდის (10 ენკენისთვე) სულ 5 თვე-ღა იყო დარჩენილი. ამ გარემოების ხელ-მძღვანელს დასს ხარჯი ძლიერ მოემატა. იმის გამო, რომ სახარჯოდ გადადებული იყო სულ 45,000 მ., ხოლო დაიხარჯა 73,296 მან. და 45 კაპ. უმთავრესი სახსარი გამოფენისათვის იტვირთეს შემდეგ დაწესებულებათა: სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 11,000 მ., მთავარ-მართებლის კანცელარიამ 6,000 მანათი, ტფილისის საქალაქო გამგეობამ 15,000 მ., საუფლისწულო მამულების გამგეობამ 3,000 მ., ტფილისის სათავად აზნაურო ბანკმა 437 მ. უმთავრესი შემოსავალი გამოფენისა შესდგა გამოფენაში შესასვლელ ბილეთების გაყიდვით 22,005 მ. დასასრულ გამოფენას იმდენი შემოუვიდა, რომ მოიშორა ზოგიერთი თვისი მოვალენი და მაინც დააკლდა 20,437 მ. ამ ფულიდგან მარტო სახელმწიფო ხაზინისა იყო 17,000 მ., თუმცა სახელმწიფომ ამდენი ფული დაჰკარგა, მაგიერად, როგორც ანგარიშშია ნათქვამი, უფრო გულ-დადებით გაიცნო კავკასიის მრეწველობის ვითარება, აგრეთვე უცხოელთაც გააცნო აქაური სამეურნეო წარმოება და მკვიდრთაც აჩვენა სამძლვარ გარეთისა და რუსეთის სამეურნეო მრეწველობის ნიმუშები.

*** ახალსენაკი: ამ გაზაფხულზე უწვიმობამ ძალიან შეგვაწუხა. მთელი ზაფხული გადიოდა და ჩვენ ნახნავ-ნათესს-კი ცვარი ნამი არ დასცემოდა. ვჩიოდით და ღმერთს ვევედრებოდით, რომ მოეღო წყალობა და ცას გადმოენამა. ვსთქვით, ეს არის, ახლა-კი ღმერთმა გვიშველაო, როდესაც თვრამეტ მაისს დავინახეთ ცაზედ შავად ჩამოწოლილი ღრუბლები. ისეთი ნუგეში ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს, როგორადაც ჩვენ ვინუგეშეთ. წვიმის მაგივრად საშინელი სეტყვა წამოვიდა და სულ ერთიანად მირეგვ-მორეგვა, რასაც-კი მიხედა. იმდენად შესამჩნევი და სხვილი იყო სეტყვა, რომ ზოგიერთს სახლებს შუშები მთლად ჩაუმსხვრია. ორი ბავშვი შემთხვევით დარჩა გარედ, ვეღარ შემოასწრეს სახლებში და ისე დაალურჯ-დაალილავა სეტყვამ, რომ ახლაც თავ პირ დასივებულები არიან.

*** მეჯვრისხევი. ოცსა და ოც-და-ერთს ამ თვისას ამ სოფელში დღეობა იყო, უსანეთობად წოდებული. ხალხი, თუმცა კვლავინდელზედ ნაკლებ დაესწრო დღეობაზედ მაგრამ არეულობა მომეტებული იყო. პოლიციის მაგიერ დაესწრო ადგილობრივი ბოქაული თავისის ჩაფრებით და დარაჯებით, რიცხვით თორმეტ კაცამდე. ქეიფი და ლოთობა დიდი იყო და, რასაკვირველია, რომ უწესოებაც ბევრი მოხდარიყო. ერთმა აქ დროებით ღვინის გამყიდველმა შემოგვჩივლა, რომ შვიდ კაპეიკად წამართვეს თუნგი ღვინო იმათ, ვისაც ღვინის სმისათვის არც-კი უნდა მოეცალათ იმ დღესაო. იმათვე მეორე ღვინის მყიდველს ბევრი სცემეს, მაგრამ გამშველებელი არავინ იყო. ერთის თავადის მოსამსახურეებმა ერთს კაცს თავ-პირი დაალეწეს; მთელმა ერთმა დასმა აზნაურებისამ, კომბლებით შეიარაღებულმა, მისტყიპა ვიღაც კაცი. ერთმა ცხენი ზედ შეაგდო ერთს გლეხკაცს, უკანასკნელმა თავის მოსაგერებლად ცხენს ჯოხი დაჰკრა. აღშფოთებულმა ცხენოსანმა იძრო მაშინვე ხმალი, საშინლად დაუჭრია კაცს, რომელიც, თუმცა თითონ გადარჩა, მაგრამ ცალი თითი-კი მოვარდა, ღვთით მეორე დაჭრევაზედაც გადარჩა კაცი, შემდეგ-კი მხედარმა თავი ანება გლეხკაცს. ქიდაობის დროს ბევრს გაუტეხეს თავი; ლანძღვა-გინებას, ტანისამოსის ხევას ხომ ბოლო აღარა ჰქონდა; პოლიციამ ესენი ვერა გაიგორა; ოც-და-ერთს მალე წავიდა, თუმცა ამ დღეს არა ნაკლები უწესოება ხდება ხოლმე სოფელში დარჩენილის მლოცავებისაგან; იმ ღამეს, მაგალითად ადგილობრივს მღვდელს სამი ცხენი ერთად მოჰპარეს და მეორე დღეს წამოსული გორელი მოვაჭრენი ავაზაკებმა საშინლად დასჩეხეს.

*** ხევი: რადგანაც ჩვენში სამამასახლისოები პატარ პატარა საზოგადოებად არის დაყოფილი, ამიტომ ამ ჟამად ხმა არის გავრცელებული, რომ ვითომც დუშეთის მაზრის უფროსი ბ-ნი ჩიხოვსკი შუამავლობდეს უმაღლესის მთავრობის წინაშე, ხევი ორს სამამასახლისოდ გადაკეთდესო. ამ ამბავს ჩვენ სიხარულით ვეგებებით ყველანი. თუ ღმერთმა ქმნა და სიტყვა საქმედ გადაიქცა, იმედია, რომ იქნება მაშინ მაინც აგვეცილდეს ყველა ის ურიგ-უწესობანი, რომელნიც სოფლის მოხელეთა ამორჩევის დროს ხდება ხოლმე ხალხის დაუდევნელობით.

*** შულავერი: სოფ. შულავერს დიდი და მოულოდნელი უბედურება ეწვია. 13 მაისს, ესე შუადღის ოთხს საათზე, ამოვარდა საშინელი კორიანტელი, რომელმაც გასტანა მთელი საათ-ნახევარი. კორიანტელს მოჰყვა წვიმა და ამას კიდევ სეტყვა. სეტყვამ სულ მთლად დარევა თითქმის მთელი შულაველი ვენახები (ოთხასი დღიური) და ყანები (ხუთასი დღიური). ვენახების პატრონებს სეტყვისგან მოსვლიათ ზარალი თითქმის 45,500 მანათისა.

*** თიანეთის მაზრა: სოფელ ჰუჰულაანთ-კარის მცხოვრებმა გიორგი აქიმაშვილმა მოჰკლა თოფით თავისი მამა ივანე. მამაშვილს დიდი მტრობა და იძულება ჰქონიათ. მკვლელი შეიპყრა პოლიციამ და გადასცა გამომძიებელს.

*** იქიდამვე: ცამეტ მაისს დასცემიან ას სამოცი კაცი დაღესტანის ლეკები მწყემს-თუშებს სოფელს დიკლოში და წაურთმევიათ 190 სული ცხვარი, ოთხი თოხვი და ოთხი ნაკადი და სხვა წვრიმალი რა გინდა რა, სულ 1307 მანათის ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

*** ყაზანის სამეცნიერო სამრეწველო გამოფენაზე ტფილისის სხვა ვაჭართა შორის დ. ზ. სარაჯიშვილსაც გაუგზავნია თავის საქარხნო სხვა-და-სხვა ნაწარმოები (ახ. მიმ.).

*** გაზ. „Карсъ“-ში სწერია, რომ აბისინიის გმირი აშინოვი პოლიციის მეთვალყურეობისაგან გაანთავისუფლეს და ნება მისცეს, ყველგან შეგიძლიან იცხოვრო რუსეთის სატახტო ქალაქებისა და კავკასიას გარდაო.

*** „Петер. Вѣд.“-ი ამბობს, რომ სამეურნეო დეპარტამენტი აპირობს გამართოს ამიერ-კავკასიაში რამდენიმე სამეურნეო სკოლა, სადაც მცირე-წლოვან შეგირდებს გარდა ხნიერებსაც მიიღებენ, და ასწავლიან, საუკეთესო წესს ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენებისასო.

*** მაისის 25, ღამით, აზნაურს სპანდარიანცს, რომელიც გრაფის ქუჩაზე ცხოვრობს ტერ გრიგორიანცის სახლში, ღია ფანჯრიდგან მოჰპარეს სერთუკი, შარვარი და პერანგი. სერთუკის ჯიბეში იყო აგრეთვე 219 მან. ეჭვი ჯერ არავისზე არ აქვიათ. ქურდს დაუძებენ.

*** ამავე დღეს პოლიციის მესამე ნაწილში ყაზისუმუხის ოკრუგის სოფ. მარკის მცხოვრებელი როსტომ აბდულმუსრან-ოღლი 20 წლისა მტკვარში ბანაობდა და დაირჩო, გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

*** მაისის 25, „კავკაზის“ სასტუმროში მოსამსახურეს ტაბუცაძეს ოსმალოს ქვეშევრდომმა ურშუტ არდომ მოჰპარა ვერცხლის საათი, ღირებული სამ თუმნად. დამნაშავე შეიპყრეს და საათი უკანვე წაართვეს. გამოძიება სწარმოებს.

◆◆

---

თემის ბედია, თუ დაჯდა,
[illegible] გამგებელია.

თემთა გამგებელნი მამასახლისებია, რომელთაც მცხოვრებთა მიმართ რომ გულ-შემატკივრობა ჰქონდეთ, „კუჭის მრწამსი“ რომ ძლიერად არ ჰქონდესთ ძვალსა და რბილში გამჯდარი და თავიანთ ჯიბე-უბის გარდა სხვაც რამ ახსოვდესთ და აინტერესებდეთ, რასაკვირველია, დაინახავდნენ ხალხის ეხლანდელს გაჭირებას, მოიყრიდნენ ერთად თავს, მოიფიქრებდნენ, მოითათბირებდნენ რასმე და სთხოვდნენ მაზრის უფროსს ამ გაჭირებაში შველას და დახმარებას. მაზრის უფროსიც, რა საეჭვოა, მთელის მაზრის წარმომადგენელია, საფუძვლიანს თხოვნას საფუძვლიანის გზით წარმართავდა და ამით ხალხს წყლეული დროებით მაინც დაუამდებოდა, დაუშუშდებოდა. მაგრამ ამას რატომ იქმოდნენ და ან ასეთი საქმე ვისგან უნდა მოვითხოვოთ? ახლანდელის მამასახლისებისაგან? ამათ განა მოეთხოვებათ რამე კეთილი, როცა მათის აზრით, ისინი-კი არ არსებობენ საზოგადოებათათვის, არამედ საზოგადოებანი არსებობენ მათთვის. რაკი ბრძანება იყო, პირველ მაისამდე ხაზინაში გარდასახადი წარადგინეთო, შეესივნენ სოფელს და დაარბიეს. აამღვრიეს წყალი, ვინიცობაა თევზი გამოჩნდეს, ადვილად დავიჭიროთო.

ასეთმა არევ-დარევამ სოფლისამ [illegible] ლა აქაური ფულის პატრონები, რომელთაც სიბრალული და შეწყნარება ადამიანისა სრულიად დაკარგული აქვთ. „გაჭირებულს უნდა მოუჭიროო“-ო, აი მათის ცხოვრების დევიზი, რომელსაც ძალიან მტკიცედ იცავენ და არასოდეს არ გადასცდებიან ამ ერთხელვე არჩეულს გზას. სწორედ რომ სომხური და ურიული „დროშონობა“ იციან ამ დალოცვილებმა. ჯერ არავინ მოსწრებია ჩვენში, რომ თუმანი თვეში მანათად გაესესხებინოს ან ესესხებინოს ვისმეს; მაგრამ რა-კი საქმე წველა ძროხისა და ულლის ხარის წართმევაზე მიდგა, ვინღა ჰზოგავდა რასმეს, გაჭირვებამ მიატრ-მოატრიალა კაცი და ამ ტრიალში გაუსხლტა ფეხი და ჩავარდა საგანგებოდ იმისათვის დაგებულ ხაფანგში და ეს იყო მიზეზი, რომ შევიქენით მოწამე იმისი, რაც აქამდის ჩვენში არ გვინახავს, ე. ი. მოვესწარით იმას, რომ თუმანი მანათად გაასესხეს და ისესხეს. ხოლო ზოგიერთმა არც ეს სარგებელი იყაბულა და „ხელის გასამწყობლოში ერთი დღე ყანაშიაც მიიხმარია თავისი მოვალე. მადლობა ღმერთს!

**

ავადმყოფობის ამბის არ იყოს, მამასახლისებისა და ფულის პატრონების [illegible] ლაპარაკი არაფრად საწყალი და ყურად-საღებია, არაფრად გემრიელი და საჭაშნიკოა, მაგრამ რა გვეთქმის, როცა ვიცით, რომ „ხემან ხენემან ნაყოფიცა ხენეში გამოიღოს“. თითონ ჩვენი ცხოვრებაა უგემური და გემრიელ ამბებს რაღა საბუთითა მოვეთხოვით? ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ ეს წერილი როგორც უგემურად დავიწყეთ, ისე უგემურადვე გავათავოთ! ვაპირებ მამასახლისთა გამო კიდევ ვილაპარაკო.

მამასახლისთა და სოფლის მოხელეთა სამსახურის ვადას ამ წლის ბოლოს ბოლო მოეღება. მოეღება-კი ბოლო, მაგრამ საქმე იმაშია, გამოიყენებენ ამ შემთხვევას ისინი, ვის ხელშიაც არის ეს საქმე, თუ არა? ამას მომავალი არჩევნები დაგვანახვებს. მე-კი ამ თავიდამვე ვაფრთხილებ იმათ, რომ წინანდებურად ხამად ნუ მოიქცევიან ამ საქმეში, ფეხის ხმას ნუ აჰყვებიან და ყველაფერში თითონ დარწმუნდნენ; ყველაფერი თითონ გაზომონ და განსაჯონ; იკმარონ გამოცდილებით ამდენის ხნის ტანჯვავაება, აახილონ თვალი და თავის ყელის გამოსაჭრელ დანას თითონვე ნუ გაჰლესვენ. სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის, მთელმა საზოგადოებამ თავის შორის ერთი პატიოსანი და შეგნებული კაცი ვერ იპოვოს!

ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გვიხსნის, თუ ბოდბის ხეველებს მივბაძავთ, იმ ბოდბის ხეველებს (იხ. „ივერია“ № 62), რომელთაც შეიგნეს და დარწმუნდნენ, რომ უსწავლელი კაცი რაც უნდა პატიოსანი და სინდისიერი გვეგონოს, მამასახლისობაში მაინც გაფუჭდება, რადგანაც ხასიათის სიმაგრეს ვერ გამოიჩენს და ცხოვრების ბინძურ ტალღას წინააღმდეგობას ვერ გაუწევსო. ამიტომაც გადასჭრეს და აირჩიეს ნასწავლი და მასთან მთელს საზოგადოებაში პატიოსანი და სახელ დამსახურებული კაცი, რომელიც, თუმცა მათის წოდებისა არ იყო, მაგრამ სთხოვეს მთავრობას მისი დამტკიცება მამასახლისად. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ასეთს მამასახლისს საზოგადოება ვალდებული გახდა აძლიოს კომლზე თითო მანეთი ყოველწლიურ ჯამაგირად. ძალიან მოსაწონი და ტაშ დასაკვრელი საქმე ჩაუდენიათ, როგორც ჰხედავთ, ბოდბის ხეველებს! აი, იმ კაცებს ჰქონიათ საქმის შეგნებისა და ვაჟკაცობის უნარი. დაფიქრებულან წარსულზე, დაჰკვირვებიან აწმყოს, გაუთვალისწინებიათ მომავალი და ყოველივე ეს ერთმანეთისთვის შეუფარდებიათ, შეუზომავთ, შეუწონავთ და ნაყოფად ასეთის შეწონვისა და შეფარდებისა გამოულიათ ეს სასახელო და სამაგალითო საქმე. უსწავლელი კაცი ბრმაა და, რა გასაკვირველია, ბრმამ ვერაფერი დაინახოს, ვერაფერს მიაგნოს.

იმედია, ჩვენები ყველა ამაებს დიდს ყურადღებას მიაქცევენ და დიდის ბეჯითობით და თავ გამოდებით შეუდგებიან ამ თავითვე მომავალ სოფლის მოხელეთა არჩევანების საქმეთა რიგიანად დაბოლავებას. ვგონებ, ჩვენში არც ერთი საზოგადოება არ იყოს ისეთი, რომ თითო ნასწავლი და შეგნებული კაცი არ ჰყავდეს. აი ასეთს კაცებს შეუძლიან მიაგვარონ და მოახერხონ, რომ თავიანთ საზოგადოებას ნამდვილი მამობა და მამობრივი მზრუნველობა გაუწიონ. ამისთანა კაცებისათვის ჯამაგირიც არ უნდა დაიშურონ, რადგანაც საზოგადოება ამით უფრო მოგებაში ჩავარდება ყოველის მხრით და აი როგორ:

ვინ არ იცის, რომ კანცელარიის შემოსავალი თითონ კანცელარიისათვის საჭირო წიგნებ-დავთრებსაც ვერ ყიდულობს და როგორც ამბობენ, ისე გაზეთ „Кутаисскія Губернскія Вѣдомости“-ს ფასიც საზოგადოებას ეწერება გარდასახადად *) მაშინ, როდესაც წელი-

*) საკვირველი ისაა, რომ ამ გაზეთის ფასად საზოგადოებას ახდევინებენ ხუთს მა-

# დაბა და სოფელი

(მოწერილი) ამბავი

**თიანეთი.** აქამდის ფშავ-ხევსურებს ერთი სკოლა ჰქონდათ თიანეთში და ერთიც ერწოში, მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების მიერ დაარსებული; თუ რაოდენად საკმარისი იყო ორი ერთ-კლასიანი სკოლა მთელის თიანეთის მაზრისათვის, ეს ადვილად წარმოსადგენია. წინადაც ბევრსა ვჩიოდით გაზეთების შემწეობით სკოლების უქონლობასა, მაგრამ ვინ გადმოგვხედა მადლიანის თვალით ყველასგან დავიწყებულებს? არავინ. ახლა? ახლა ჩვენთვისაც მოიცალა ბედმა, ცოტათი გაგვიღიმა და მით დიდადაც გვასიამოვნა. აპრილის ოცს ფშავ-ხევსურეთს ეწვია სკოლების ინსპექტორი მ. ლეონიდი იმ აზრით, რომ თიანეთში გაემართნა ერთ-კლასიანის სკოლის მაგიერ ორ კლასიანი სასწავლებელი და დაეარსებინა კიდევ თითო კლასიანი სკოლები სხვა სოფლებშიაც. ხსენებულის სურვილის განსახორციელებლად, ოც და-ოთხს აპრილს მ. ლეონიდი გაემგზავრა თიანეთიდგან ფშაველებისაკენ და სოფელ არტანს, შეჰყარა მთელი არტნის საზოგადოება. აქ ყრილობას დაწვრილებით აუხსნა ინსპექტორმა, რა აუცილებელი საჭიროებაა სწავლა-განათლების შეძენა ყველასათვის და განსაკუთრებით—მთიულებისათვის. პირველად ხალხმა ძლიერ იუცხოვა ახალის ხარჯის გაღება და უკან დაიწია; მაგრამ მ. ლეონიდი სასოწარკვეთილებას არ მიეცა და ისევ ახალის ძალ-ღონით განაგრძო მდაბიო საუბარი და დარიგება. ბოლოს ყრილობას უთხრა: „ხალხნო! ეჭვის თვალით რად მიცქერით? მეც თქვენი ძმა არა ვარ? მეც თქვენი შვილი ვარ და თქვენივე სისხლი და ხორცი. მერწმუნეთ, ძმანო! თუ საზარალო იყოს ჩემ მიერ დაწყებული საქმე, პირველი მე ვიქნებოდი მაგ საქმის მტერი, პირველადვე მე შევუშლიდი ხელს.“ ყრილობაში ლაპარაკი ჩამოვარდა. ბოლოს ერთი ქრიამული ატყდა, შემდეგ განაჩენი დაადგინეს და ყოველივე სკოლისთვის საჭირო ხარჯი იკისრა საზოგადოებამ; მხოლოდ სთხოვა ყრილობამ მ. ლეონიდს, რომ ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, და გამოეთხოვნა იქიდგანაც შემწეობა, რადგანაც ძლიერ ძნელი არის მთელის სკოლის ხარჯი მარტო არტნის საზოგადოებამ გაისტუმროსო. მეორე დღეს არტნელებმა განაჩენი მაზრის უფროსს წარუდგინეს შესამოწმებლად, რომელმაც შემოწმებული გადასცა ინსპექტორს.

ოც-და-ექვს აპრილს შეიყარა ქვემო-თიანეთის საზოგადოება, ამათაც მოელაპარაკა მ. ლეონიდი ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვის თაობაზედ. ხალხი აქაც ჯერ უარზედ შესდგა, მიზეზად მოუსავლობასა, ხალხისა და საქონლის გაწყვეტას ასახელებდნენ. ბოლოს ესენიც დასთანხმდნენ, მაგრამ განაჩენზედ კანონიერმა ხალხის რიცხვმა ვერ მოაწერა ხელი, რადგანაც ცოტანი იყვნენ შეყრილები. ინსპექტორმა განაჩენი თიანეთის მამასახლისს გარდასცა, დანარჩენს ხალხსაც მოაწერინე ხელი, თუ სურდეთო; თუმცა აქამომდე კიდევ კანონიერი რიცხვი ვერ შემდგარა ხელის-მომწერთა, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ თიანეთის მამასახლისს კარგად ესმის სწავლა-განათლების საჭიროება, გულმოდგინედ მოეკიდება ამ საქმეს თავის ხალხის კეთილ-დღეობისათვის და დააჩქარებს განაჩენზედ ხელის-მოწერას. რომ იფიქროს კაცმა, არც ძლიერ გასაჭირია ექვსას კომლისათვის ერთის მოსწავლებლის შენახვა, მით უმეტეს, რომ ზემო-თიანელებიც მხარს აბამენ, და იქ კიდევ ოთხასი კომლი იქნება. ამ თვის პირველს ზემო თიანელებმა კიდეც დაადგინეს განაჩენი ორ-კლასიანის სკოლის გამართვისა და წარადგინეს შესამოწმებლად. დიდი სირცხვილი იქნება ქვემო თიანელებისათვის, თუ ზურგს არ მიჰყუდებენ ზემო-თიანელებს და თავიანთვე სოფელში არ დაიარსებენ ორ-კლასიან სასწავლებელს. დღესაც თიანეთის ერთ კლასიან სკოლაში მხოლოდ ექვსი შეგირდი სწავლობს ზემო თიანეთიდგან, დანარჩენი თითქმის ყველანი ქვემო-თიანლები არიან; ნება რომ მიეცა ინსპექტორს სამოც შეგირდზე მეტის მიღებისა, ახლა ერთს მასწავლებელს თიანეთის ერთ კლასიან სკოლაში ორასი შეგირდი ეყოლებოდა, მაგრამ, იმ შეგირდებს გარდა, რომელნიც მიღებულნი არიან, ყველასთვის დაკეტილია სკოლის კარები და სწავლის მსურველები ხშირად აბრუნებენ თავიანთ შვილებს უკან, რა-კი ველარ იღებენ სკოლაში შეგირდების სიმრავლის გამო. ნუ თუ ქვემო-თიანლები არ შეიბრალებენ თავიანთ შვილებს? ნუ თუ დუქანში ღვინოზედ დახარჯვენ ათ შაურს და თავიანთ შვილებისთვის დაზოგვენ? იმედია ქვემო თიანელები წაჰბაძვენ არტნელებსა და ზემო-თიანელებს და წელს ენკენის თვეში ერთ-კლასიან სასწავლებლის მაგიერ ორ-კლასიანი ექნებათ. აქამდისინაც დაადგენდნენ განაჩენს თიანელები, მაგრამ ბოროტმა და მაცდურმა ენამ აქაც ცოტა ხელი შეუშალა განაჩენის გათავებას, როგორც ყველა კეთილ საქმეს. ზოგიერთმა ბოროტმა ხალხმა გაავრცელეს ხმები: წელს რომ ათ შაურზედ მოუწეროთ ხელი, სამერმისოდ მანათს წაგვართმევენ ძალათიო და შეიძლება ერთ დროს წელიწადში თუმანიც წაგვართონო; ზოგიერთებმა ამ ხმებს დაუჯერეს და უკან დაიწიეს. ეს გავრცელებული ხმები სრული სიცრუეა იმ ვაჟბატონებისა, რომლებიც კარგადა ჰგრძნობენ, რომ რამდენიც ხალხში მეტი სწავლა-განათლება დატრიალდება, იმდენად ძნელი მოსატყუვრები გახდებიან და ისე ადვილად ველარ გააბმენ მახეში თავიანთ მსხვერპლს. განა თვალ-საჩინო არ არის მიზეზი ამ ხმის გავრცელებისა? ჩემის მხრით ურჩევ თიანელებს, რომ დრო არის ახლა-კი მოიგლიჯონ წურბელეები და ნუღარ დაისხმენ სისხლის საწოვნელად. იარაღი წურბელების მოშორებისა მხოლოდ სწავლა-განათლების შეძენაა. სკოლისთვის ხარჯის მომატება და მოუმატებლობა შემდგომშიაც ხალხის სურვილზედ იქნება დამოკიდებული, როგორც ახლაა. შემდგომში თუ ხალხი ისურვებს სკოლის განკარგებასა და გაუკეთესებასა, შეუძლიანთ ათ შაურზედ მეტი იკისრონ ხარჯი და თუ არ ისურვებენ, ნება აქეთ ისევ ათი შაური იხადონ.

შარშან მთის ხევსურების სოფელში, სახელდობრ ბარის-ახოშიაც მოინდომა მ. ლეონიდმა სკოლის დაარსება და წელს კიდეც მოიყვანა სისრულეში. რადგანაც ხევსურები უწყალო ღარიბები არიან, ამისათვის არამც თუ მასწავლებლის დაქირავებას და სკოლისთვის სახლების აშენებას ვერ იკისრებდნენ, იქნება მოსამსახურის ჯამაგირიც ვერ მოეგროვებინათ ხალხში. მეტ ნაწილ ხევსურებს არც-კი გაუგონიათ სკოლის სახელი. ამ მიზეზების გამო მ. ლეონიდმა მიჰმართა მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგენელ საზოგადოებას და სთხოვა, რომ თქვენის ხარჯით გამართეთ ხევსურეთში სკოლაო. ხსენებულმა საზოგადოებამაც შეიწყნარა მ. ლეონიდის წინადადება და გადასწყვიტა: გაიმართოს ს. ბარისახოში ერთ-კლასიანი სკოლა ჩვენის ხარჯით და ყოველს წელიწადს იყოს მიღებული ჩვენისავე ხარჯით ოროლი მთის ხევსურის შვილები, გამოსაზრდელად სხვა-და-სხვა სასწავლებელში. როგორც სჩანს, წელს ენკენისთვიდგან ბარისახოში გვექნება ერთ-კლასიანი სკოლა, ხოლო არტანში და თიანეთში ორ-კლასიანი სასწავლებელი.

დავით გორელი

◆◆

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ს. პეტერბურგში, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს გაზ. „Гражданинъ“-ი, რომელიც თავისის მიმართულებით სრული უარ-მყოფელია ამ სიტყვისა, და თ. მეშჩერსკი, მწერალი, ამ ახირებულ გაზეთის რედაქტორი, რომელსაც რუსეთის მწერლობასთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც თავრიზის ჭრუას ჩინეთის ბუდისხანთან. ეს რედაქტორი და გაზეთი იმითი არიან შესანიშნავი, რომ რუსეთის მწერლობას გზას უქცევენ ყველაფერში და სცდილობენ გარდაცვალებულ კატკოვისა და იმის „Московскія Вѣдомости“-ს ადგილი დაიჭირონ, მაგრამ სწორეთ ის აკლიათ, რაც უპირველესად საჭიროა მწერლისა და იმის ნაწარმოებისათვის,—ნიჭის ნიშან-წყალი. თ. მეშჩერსკი ამას წინად ჰქადაგებდა თავის გაზეთში, რომ სულ ერთიანად დავკეტოთ უნივერსიტეტებიო, და პეტრე-რაზუმოვის აკადემია ხომ სწორედ ლიბერალიზმის ბუდე-ბუნაგად მიაჩნდა, ახლა ესეც არ უკმარია და 18 მაისის №-ში დიდის რიხითა და გაბედულობით გაიძახის, რომ რა საჭიროა საგუბერნიო ქალაქებში ამდენი წვრილმანი გაზეთიო, მით უმეტეს, რომ მათი გამომცემლები ან ლიბერალი რუსები და ან ურიები არიან და მთავრობის წინააღმდეგ ჰმოქმედებენო.

ტყუილად-კი არა სცდილობენ იმისთანა მეგობრები რუსეთისა, როგორნიც არიან ბ-ნნი სუვორინი, სემევსკი, გრიგოლ გრადოვსკი და მათი ამხარი, რომ ბეჭდვითის სიტყვის უკანასკნელ კანონის 25 წლის იუბილეი იდღესასწაულონ. იმათ კარგად იციან, თუ რა დიდი ზარალი მოუტანა მთავრობას ამ კანონის წყალობით მწერლობამ... და სხ.

ასე იწყებს მეშჩერსკი, შემდეგ თანდათან უფრო აალმასებს ენას და უშველებელს ბრალსა სდებს გაზ. „Голосъ“-ს. შემდეგ კითხულობს:

ნუ თუ მთავრობას ეჭვი აქვს, რომ ახლანდელი რუსული პროვინციალური გაზეთები მხოლოდ იმასა სცდი-

---

წადში თვით კანცელარიას, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, 150—200 მანათამდე მარტო ჯარიმის ფული შემოუვა. ხოლო სხვა-და-სხვა ქაღალდების დამტკიცებისა და საქმეთა ასლის გატანის შემოსავალიც რომ ვიანგარიშოთ, 300 მან. მაინც მიახწევს. ახლა დამისახელეთ: ბევრია ისეთი მამასახლისი, რომელმაც აჩვენა მთელის წლის განმავლობაში თავის საზოგადოებას თუნდ ერთი მანათი ამ გვარის შემოსავლისა! როცა ნასწავლი და პატიოსანი კაცი ეყოლება საზოგადოებას მამასახლისად, ყველა ეს შემოსავალი შეენახება და მისის სურვილისამებრ საზოგადო საქმეს მოხმარდება, ახლანდელივით უგზოუკვლოდ აღარ ჩაიყლაპება. ამას გარდა სოფლის მწერლები ნასწავლ მამასახლისად ისევ აღვირ-მიშვებით ველარ იმოქმედებენ, როგორც ახლა, არამედ, როგორც რიგი და წესია და მამასახლისთა ხელ-ქვეითნი იქნებიან და არა ხელ-ზევითნი. „რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ“.

**

თუმცა მამასახლისების გამო ლაპარაკი-კი კმარა, და არა თუ კმარა, მეტიც არის, მაგრამ მაინც გული არ მითმენს, რომ ერთ გვარი მათი უკუღმართობა კიდევ არ აღვნიშნო: თუ-კი „ივერია“ „დაუსრულებელ ამბავს“ ჰბეჭდავს და მკითხველები ასეთს ამბავს ჰკითხულობენ, ბარემ ეს ამბავიც დაჰბეჭდოს, რომელსაც, ღვთის მადლით, დასასრული აქვს.

მოგეხსენებათ, რომ ამ წლიდგან მამასახლისებს მიენდო მთავრობის მიერ ბილეთების მიცემა, რაც აქამდის მხოლოდ სამაზრო სასამართლოში ჰსწარმოებდა. ამისათვის მთავრობამ დაავალა ყველა საზოგადოებას ეყიდათ ხაზინიდამ ბილეთებისთვის საჭირო ღერბის ქაღალდი, რომელიც ზედწარწერილ ფასად უნდა იყიდებოდეს და ფასი სოფლის კანცელარიებში ინახებოდეს თანხად, რათა შემდეგს წლებშიაც ამ გვარივე ღერბის ქაღალდი ერთხელვე გარდახდილის ფულით იქმნას ნაყიდი. ამ გვარი განკარგულება მთავრობისა, როგორც ჰხედავთ, დიდი შეღავათი არის მცხოვრებთათვის, დიდი გაადვილებაა ბილეთების მოპოებისა; მაგრამ მამასახლისებმა ეს სასიკეთო განკარგულება მთავრობისა უკუღმა დაატრიალეს და თავიანთ სასარგებლოდ მოახერხეს გამოეყენებინათ. ბილეთების მთხოვნელთ იმდენს მიზეზს მოჰსდებენ, იმდენს გაუხანგრძლებენ საქმეს, რომ კანცელარიაში სიარულით სულს ამოართმევენ და, მანამ არ აღირსებენ ბილეთს, სანამ ორ იმდენ ფასს არ აიღებენ, რამდენადაც ღერბის ქაღალდი ღირს. გარდა ამისა ჯარის კაცად გასაწვევთა სულ უარს ეუბნებიან ბილეთის მიცემაზე, ამბობენ: „ბრძანება გვაქვს ასეთიო.“ რასაკვირველია, ასეთი ბრძანების არსებობა წარმოსადგენელი არ არის, რადგანაც მისაწოდებელი სიები (призывные списки) თუ უფრო ადრე არა, მარტის დამლევამდე მაინც შესდგება ხოლმე, ხოლო მოწოდებულთა კენჭის ყრა გიორგობისთვეში ჰსწარმოებს. გამოდის, რომ მისაწოდებელ სიებში ჩაწერილებს (თუ მამასახლისებს დავუჯეროთ) შვიდის თვის განმავლობაში სახლიდამ ფეხის გადადგმა აღკრძალული ჰქონიათ, მაშინ როდესაც ბევრი მათგანი სხვა და სხვა ადგილას ჰმუშაობს, რაიმე ხელობას ადგას და კაპეიკობით აგროვებს თავის ოფლისა და ჯაფის სასყიდელს და იქიდგან ოჯახს აწვდის. ხშირად მთელის ოჯახის იმედი ამისთანა გარედ გასულს კაცებზეა დამყარებული და, რა სამართალი იქნება, რომ შვიდის თვის მუშაობას მოვაცდინოთ ისინი და იძულებული გავხადოთ სახლიდამ თავი არ გაჰყონ!

ბრძანება აქვთ მამასახლისებს, არ მისცეთ ბილეთი პოლიციის მხედველობის ქვეშ მიცემულთაო, სისხლის სამართალში და თავდებობის ქვეშ მყოფთა და მასთან საეჭვო ყოფაქცევის მექონეთაო.

**

ამ წელიწადში სენთა და მოარულთა შეგვაწუხეს და ქესატობამაც ამოგვართვა სული, თორემ სხვაფრივ მოსვენებული ვიყავით. ასე გასინჯეთ, წელს ფირალებიც სადღაც მიიჩქმალნენ და არაფერი ავ-კაცობა არ ჩაუდენიათ. ამ ნაირად ცარცვა-გლეჯისა და კაცის კვლის ამბავი აღარ გვაწუხებდა და ძილსა და მოსვენებას აღარ გვიფრთხობდა. ამის მიხედვით, რასაკვირველია, საბუთი და საფუძველი გვქონდა, რომ გული სიამოვნებით აგვძგერებოდა და დაგვმშვიდებოდა. ამ ყოფაშიაც ვიყავით ვიწმენდდით ნელ-ნელა სირცხვილის ოფლს და გვეგონა სულსაც მოვიწმენდდით, რადგანაც ვფიქრობდით, რომ, გვიბრალა ღმერთმა, დაგვიწყნარდა მაზრა და დაგვიდგა მოსვენების დრო თქო. მაგრამ ანაზდად ჩვენდა საჭირ-ბოროტოდ დაჰბერა რალაც უცნაურმა ქარმა და ძირამდის შეარყია ჩვენი ამდენის ხნის მყუდროება.

ამ დღეებში აკეთში გაცარცვეს სუფსის რკინის გზის სადგურიდგან თავის სახლში (ბასილეთში) მიმავალი ლომთათიძე, რომელსაც წაართვეს 62 მან. ფულად და სხვა რაღაცეები. გაგვაკვირვა და გაგვაოცა ამ ამბავმა იმიტომ, რომ ფირალების ჩანადენი არ ყოფილა ეს ბოროტ-მოქმედება. გაძარცული ამბობდა, რომ ავაზაკებს არაფერი საომარი იარაღი არ ჰქონიათ და მხოლოდ კეტებით იყვნენ აღჭურვილნიო. მაზრის უფროსი ადგილობრივ მიბრძანდა ამ საქმის ბეჯითად გამოსაძიებლად. დიდის ყურადღებით და დაკვირვებით გამოიძია და გამოიწვლილა ეს ამბავი და ოთხი ისეთი ვაჟბატონი, რომლებიც „არცა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა, მაგრამ მაძღარნი-კი ცხოვრებენ“, იმავე დღესვე დააპატიმრებინა. გამოძიებამ იმათზე მიიტანა კვალი და თვით მცხოვრებთა და საზოგადოების „ჩვევის-თავითა“ იჭვიც იმათზე იყო.

არ გასულა ერთი დღე ამის შემდეგ და უფრო საოცარი ამბავი გავიგონეთ. ჩოხატაურში მოჰკლეს კერძო ვექილი თავადი გიორგი მაჩაბელი. დაწვრილებით ამ კაცის კვლის ამბავი ჯერ არ ვიცით, ხოლო, როცა გავიგებთ, გაცნობებთ.

გარდამხდა გარდასავალი
და აწ უარესს მოველი.
ხომ გურულებს გვეუქმის!

დათიკო გერმიცანაშვილი

---

ნეთს, როცა გაზეთი ამაზე ბე რად ნაკლებად ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობენ, წინ აღუდგნენ ყოველსავე მთავრობის სურვილსა და მიმართულებას და, თხუნელასავით, ჰსურთ ძირი გამოუთხარონ წადილს პროვინციის განათლებულ კაცებისას, რომელნიც იმას არიან მონდომებულნი, რომ კონსერვატიული აზრები შეითვისონ და შეისისხლ-ხორცონ.

ყველას ესმის, რომ ისეთს შუაგულს ადგილებს, როგორიც არის კიევი, ხარკოვი და ოდესა, თავისი გაზეთები უნდა ჰქონდეთ და აგი აქვთ კიდეც, რომლებიც ყოველთვის რიგიანად და წესიერად იბეჭდება. მაგრამ ის-კი ვერავის გაუგია, რად უნდა ჰქონდეს სხვა-და-სხვა საგუბერნიო ქალაქს გაზეთი მთავრობის საწინააღმდეგოდ? ნუ თუ ისა ჰგონიათ, რომ რევოლიუცია ასტყდება, თუ სულ ერთიანად მოსპეს ეს ფრიად მავნებელი და ადამიანის ზნეობის დამამახინჯებელი გაზეთებიო? ბოლოს თ. მეშჩერსკი, რა-კი „Голосъ“-ის ანდერძის აგებას გაათავებს, „Смоленскій Вѣстникъ“-ს მიჰყოფს ხელს და მიაქვს და მოაქვს ენა. რა იყო იმ გაზეთში ენის მასატანიო, იკითხავთ; აი ის ადგილი, რომელსაც ადუშფოთებია და გაუწიწმატებია თ. მეშჩერსკი. ამას წინად გაზეთ „Смоленскій Вѣст.“-ის მეფელეტონეს სხვათა შორის ჰქონია დაწერილი:

ჩვენის დროის სანუგეშო მოვლენად ითვლება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ტოლსტოის, შჩედრინოსა, უსპენსკისა და ნადსონის თხზულებებს საზოგადოება გატაცებით ჰყიდულობს და ჰკითხულობს და იმის შეტყობაც-კი არავის უნდა, გამოვა თუ არა თხზულებანი კატკოვისა თუმცა-კი სამართლიანად მიჩნეულია მერვე საოცრებად და ქონდრის კაცთა რეაქციის დასში ბუმბერაზად ითვლება. როდისღაც მილლი იძულებული იყო ასე შეესწორებინა თავისი ნათქვამი; „მე იმასკი არ ვამბობ, რომ ყველა კონსერვატორი სულელია, მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ყველა სულელი კაცი კონსერვატორია—“. ეს სიტყვები ინგლისის პარლამენტში ითქვა, იქ, სადაც კონსერვატორთა შორისაც ურევია ბევრი ჭკვიანი და გონიერი ადამიანი, ხოლო მილლი რომ რუსეთში ყოფილიყო, ასეთი მსხოლიო არ მოუნდებოდა. საზოგადოებამ კარგად იცის ესა და ამიტომ არა კითხულობს თ. მეშჩერსკისა და იმისთა მსგავსთა ნაწერსა და გამონაცემს, მაშინ როდესაც გაზ. „Русскія Вѣдомости“-ს ასობით იწერავს. ამისთანა ამბავმა (რიცხვით მრავალი) „შუათანა კაცი“ აშკარად უნდა დაარწმუნოს, რომ იმისი დრო დადგა, უნიჭოთა ძლიერების ჟამმა გაიარა და შეუძლიან საქმეს თამამად მოჰკიდოს ხელი, რადგან მთელი კეთილმოაზრე და გონიერი საზოგადოება იმის მხარეს იქნება... და სხ.

როგორც ჰხედავთ, „Смоленскій Вѣстникъ“-ი თ. მეშჩერსკისა და იმის უთავბოლო გაზეთს არა სწყალობს და სწორედ ისეთს პატივსა სცემს, როგორც ამ გაზეთს ეკადრება. ისიც ხომ აშკარაა, რომ თ. მეშჩერსკის თავისი თავი კონსერვატორად მიაჩნია და ბრძნადაც. რაღა თქმა უნდა, არაფრად ეპიტნავებოდა „Смолен. Вѣст.“-ის ფელეტონში მოყვანილი სიტყვები განსვენებულის მილლისა კონსერვატორთა შესახებ. აი კიდეც ამას გაუმწვავებია უუპატივცემულესი კონსერვატორი თავადი და ამ გამწვავებას კიდევ ცილის დამწამებელ და და დამაბეზღებელ კალმისთვის მოუგდებინებია ხელი, ან რა ექნა საბრალო თავადს, სხვა რაღა პასუხი გაეცა? განა ტყუილად არის ნათქვამი:

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების.

## წვრილი ამბები

ერთი გერმანელი სწავლული წინასწარ მეტყველებს, რომ წელს ზაფხული ევროპაში ძალიან ცხელი იქნებაო. ეს სწავლულივე ამბობს, როდის ყოფილა კიდევ ევროპაში ძალიან ცხელი ზაფხული. 627 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ ისე ცხელებულა, რომ ყველა მდინარენი დამშრალა და ხალხი იხოცებოდა სიცხისაგან. 879 წ. არ შეიძლებოდა მუშაობა მინდორში. 993 წ. კაკალი ისე იხრაკებოდა, როგორც გახურებულ ბუხარში. 1000 წელს საფრანგეთში ამოშრა ყველა მდინარენი. ჭაერში საშინელი სუნი და სიმყრალე იდგა დახოცილის თევზებისაგან. საქონელი იყლიტებოდა წყურვილით. 1014 ელზას ლორენში დაშრა ყველა მდინარენი და წყარონი. 1132 წ. დაშრა რეინი, 1152 წ. ისეთი პაპანაქება ყოფილა, რომ ქვიშაში შეიძლებოდა კვერცხის შეწვა. 1227 წ. დიდ ძალი საქონელი და ხალხი გაიყლიტა სიცხით. 1303 წ. მდინარე რეინი და დუნაი ისე დაპატარავდა, რომ ხალხი გადიოდა ფონში ფეხით. 1394 წ. გადახმა ყველა მცენარეობა მინდვრებში. 1538 წ. მდინარე სენა და ლუარა გაჰქრენ დედამიწის პირიდგან. 1556 წ. მთელ ევროპაში ყოფილა საშინელი გოლვა. 1614 წ. საფრანგეთში და თვით შვეიცარიაშიც დაშრა ყველა წყარონი. საშინელი სიცხეები ყოფილა აგრეთვე 1646, 1679 და 1701 წლებში. 1715 წ. მარტიდამ ღვინობისთვემდის ნამი არ ჩამოვარდნილა. ნესტიან ადგილებში-ც-კი სიცხე რეომიურის 40 გრადუსამდე ადიოდა. ხეხილი ორჯელ აყვავდა. დიდი სიცხეები ყოფილა აგრეთვე 1724, 1746, 1756 და 1811 წლებში. 1815 წლის ზაფხული ისე ცხელი ყოფილა (40 გრადუსზე ნაკლები არ ყოფილა სიცხე), რომ ყველა სასეირნოდ გამართული ადგილები გაუქმებინათ.

— გამოჩენილ მოგზაურსა და გამომკვლეველს აფრიკისას, სტენლის, აი რა მიუწერია ერთხელ ერთ თავის მეგობრისათვის ქალების შესახებ: „როგორც თეთრ-კანიანი ქალები, ისე შავ-კანიანებიც ბევრად გვჯობიან კაცებს: ისინი უფრო არ დაიზარებენ ხოლმე, გამოიცვალონ თავიანთი ძველი ჩვეულება და სხვა გვარი ცხოვრება შეეთვისონ, იმათი გული უფრო ლმობიერია, უფრო შემბრალებელი და უფრო თანა მგრძნობელი“... მერე ასე განაგრძობს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ქალებთან ლაპარაკი ჭირივით მეზარება იმიტომ, რომ ამ დროს ჩემს ქერქში როდიღა ვარ ხოლმე, ისე ვეღარ ვახერხებ ქცევასა და ლაპარაკს, როგორც საზოგადოდ ვიქცევი და ვლაპარაკობ, თითქო განგებ ვცდილობ, რომ, რაც შეიძლება, შნო დავდო ჩემს თავსა და ქალებს თავი მოვაწონო. ასე იმიტომ-კი არ ვიქცევი, რომ მართლა წინდაწინვე მქონდეს განზრახული, იმათ თავი შევაყვარო, არა, ჩემდა-უნებურად მომდის ხოლმე ეს არა სასიამოვნო საქციელი და ამიტომ უმეტეს ნაწილად ვერიდები ქალების საზოგადოებას... მთელი ჩემი სიცოცხლე სულ კაცებში გამიტარებია და ათას ნაირი განსაცდელი გადამხდენია თავს, ამიტომ ისეთს პირდაპირ ქცევასა და ლაპარაკს შევეჩვიე, რომ ვინც არ მიცნობს, უზდელობაში ჩამომართმევს. ქალები და პოეტები-კი, ასე მგონია, დანარჩენს ადამის შვილებს სრულიადაც არ ჰგვანან და, როდესაც იმათთანა ვარ, მეშინია, ისეთი არა წამომცდეს-რა, რაც იმათს გრძნობიერს ბუნებას ეწყინება მეთქი, და ჩემის ფიქრით, მარტო მე-კი არა,—ყველა ამნაირად იქცევა. ნურავინ ნუ დაიკვეხებს გულწრფელობას ქალთან ანუ პოეტთან“.

## დეპეშა

26 მაისი

(სიკუთარის კორრესპონდენტისაგან)

კავკავი. კისლოვოდსკში დიდი ნიაღვარი და სეტყვა იყო; მდინარე ოლხოვკა და ბერიოზოვკა ადიდდა ისე, რომ ძველ ქვითკირის ხიდის თაღში ვეღარ ეტეოდა წყალი. ხიდი დაინგრა, წყალი შეგუბდა და გადავარდა გალერიასკენ. მადნის წყლები მიწამ და შლამმა დაფარა და ჯერ ვერ იპოვეს. ზარალი დიდია.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 88 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 138 1/4 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1, 08 1/2 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 231 1/4 |
| —მეორისა | — „ | — „ | 213 3/4 |
| —მესამისა | 212 | — „ | 211 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს, რომ 1890 წლის მაისის 30 ფრეილინის ქუჩაზე, ბანკის სადგომში, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ ისყიდება სიმონ პროკოფის ძის პროკოპოვისეული, ადრინდელი ვასილ სოლომონის ძის ყორღანოვის მამული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფის სართულითა და თავისის მოწყობილობით, ორი ერთ სართულიანი ფლიგელი მიშენებულით და საჯინიბეთი და ერთ-სართულიანი სახლი ერთ-სართულიანის საჯინიბითურთვე. მიწის ზომა 1513 ოთხ-კუთხი საჟენია. საზღვრები დაწვრილებით ნაჩვენებია ნასყიდობის წერილში, რომელიც შედგენილია 1885 წლის 15 თებერვალს, № 191-ით. ვისაც უნდა ჰსურს, ამ საქმის შესახებ ცნობების შეტყობა, გეგმის დათვალიერება და საბუთების განხილვა შეუძლიან ბანკში, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის. 1—1

გენერალი დიმიტრი გიორგის ძე თავ. ეზიროვი რკინის გზის ახლო სტ. მიხაილოვესა და სოფელს ოსიაურში ჰყიდის ორი ათასს ფუთს სიმინდსა და ოთხი ათას ფუთს პურსა. მსურველს შეუძლიან მობრძანდეს და ფასზე მოვურიგდებით. (5—3)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

# ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—16)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

# „დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

სურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიითა და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—22) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

ჰ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ ე რ ლ ი ნ შ ი

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

# ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვილის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—25)

# ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეკზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე